საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/178

19 ივლისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თამარ კუტალაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, თამარ კუტალაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის № 01-09/513 ბრძანების, ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/49 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (15.07.2022, ოქმი№22-20/12) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 22 0000811504, 18/07/2022) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამარ კუტალაძის** სადისერტაციო ნაშრომის - **„რომაული სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში“ საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 26 ივლისს, 12:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის“ სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი ისტორიის დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. ჯემალ კარალიძე-ბსუ-ს პროფესორი (**სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე**);
   2.2. მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (**მდივანი**);
   2.3. ემზარ მაკარაძე -ბსუ-ს პროფესორი;

2.4. ოთარ გოგოლიშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. ირაკლი მანველიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.6. რევაზ დიასამიძე- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. ირაკლი ბარამიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. ხათუნა დიასამიძე- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. ლაშა ბაჟუნაიშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი **ანზორ ბერიძე**